

მარიამ მარჯანიშვილი

**სილოვან ხუნდაძე
ემიგრანტის მოგონებაში**

გამოჩენილმა მეცნიერ-რუსთველოლოგმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ, მწერალმა და პუბლიცისტმა, ემიგრაციაში მრავალი ჟურნალ-გაზეთის რედაქტორ-გამომცემელმა ვიკტორ ნოზაძემ მეტად საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის მოღვაწეობის შესახებ.

„მოვიდა ცნობა: იოსებ ოცხელი გარდაიცვალაო! წარმოგიდგენიათ, რაზომ მეწყინა ეს ცნობა?! ველარ მოუხერხე ქუთაისს წასვლა, რომ მის დასაფლავებას დავსწრებოდი. ცოტა ხნის მერე მივიღე წერილი: განსვენებული იოსებ ოცხელის მოღვაწეობის შესახებ გვინდა სამახსოვრო წიგნი გამოვცეთ და დაგვიწერეთ თქვენი მოგონებანი მასზეო. არ დამიყოვნებია. დავწერე; თავრიშვილის წიგნის მაღაზიას გადავუგზავნე. ველარ მოუხერხებინათ წიგნის გამოცემა და მერმე აქ ვნახე ერთი ჩემი მეგობარის მიერ მიღებული პაწია წიგნაკი, მ-გვერდიანი, იოსებ ოცხელის მოსახსენებლად გამოცემული... ჩემ მიერ მაშინ დაწერილი მოგონებანი, თუ ქარცეცხლს გადაურჩნენ. ალბად სადმე არქივში იქნებიან მიგდებული“.

ვიკტორ ნოზაძემ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორზე – იოსებ ოცხელზე თავისი მშვენიერი მოგონება 1967 წელს აღადგინა და იგი პარიზში ჟურნალ „კავკასიონის“ XII ნომერში გამოაქვეყნა: „სათავადაზნაუროდ წოდებული გიმნაზია კერძო ხასიათისა იყო, ესე იგი, ეს სასწავლებელი მთავრობის ხარჯზე არ არსებობდა, თუმცა იგი კავკასიის სამასწავლებლო ოლქის გამგებლობას, „პოპეჩიტელს“, ემორჩილებოდა. ამ გიმნაზიას, რომელსაც პირველად „ბანკის კლასი“ ერქვა, „სათავადაზნაურო“ იმიტომ დაარქვეს, რომ მას ქუთაისის „სათავადაზნაურო“ ბანკი ინახავდა და „ქართული გიმნაზიის“ სახელწოდება იქიდან წარმოიღვა, რომ გიმნაზია ქართველობას ეკუთვნოდა და იქ ქართულის სწავლება და სწავლა აავალდებულო გახდა. რასაც მთავრობის გიმნაზია მოკლებული იყო“ (ჟურნ. „კავკასიონი“, 1967. 205-212).

ამ მოგონებაში იოსებ ოცხელის გვერდით საინტერესოდაა წარმოდგენილი გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სილოვან ხუნდაძის პორტრეტი და მისი პიროვნული ნატი: „კარგად მახსოვს, როდესაც ერთ დღეს ცნობილმა პედაგოგმა და მწერალმა, გიმნაზიის ინსპექტორმა, ბატონმა სილოვან ხუნდაძემ დამიძახა და გამაცნო ერთი ახალგაზრდა: – ეს ყმაწვილი არის ერევნელი სომეხი. მან ყველა საგანი კარგად ჩააბარა. ჩაიჭრა მხოლოდ ქართულ ენაში და იგი პირობით მივიღეთ. შენ გვეალება მას ქართული ენა ასწავლო და იმედი მაქვს შემდეგისათვის ქართულ ენასა და მწერლობაში მოემზადებაო. მეც სიამოვნებით დავთანხმდი და მართლაც ამ ყმაწვილმა იმ წლის ბოლოს ქართულში კარგად ჩააბარა ეგზამენი“ (იქვე).

ვიკტორ ნოზაძემ 1910 წელს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში პირდაპირ მე-6 კლასის გამოცდები ჩააბარა. გიმნაზიის მიზანი იყო ახალგაზრდობა ქართული

სულისკვეთებით აღეზარდა, რის გამოც ეს სასწავლებელი მთავრობას ყოველთვის საეჭვოდ მიაჩნდა: „ეს განსაკუთრებით აშკარა ხდებოდა, როცა საგამომწებო, ანუ სიმწიფის მოწმობის, გიმნაზიის დასრულებისათვის გამოცდები იწყებოდა. ყოველ ასეთ გამოცდას კავკასიის სამასწავლებლო ოლქის წარმომადგენელი ესწრებოდა და თუ მთავრობის გიმნაზიაში მხოლოდ მე-8 კლასის გამოცდას აბარებდნენ, ჩვენ ყველა საგანს გვთხოვდნენ დაწყებული არითმეტიკითა და გეოგრაფიით. ხოლო რუსულ ენაში გამოცდა ძალიან მძიმე იყო, რადგან „კავკასსკი უჩებნი ოკრუგ“ ქართულის გაბატონებას ებრძოდა, თუმცა ყველა საგანს, გარდა ქართულისა, რუსულად ვსწავლობდით“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული სილოვან ხუნდაძე 1884 წლიდან შეუდგა თავის სამშობლოში პედაგოგიურ მოღვაწეობას. ერთხანს იგი მასწავლებლად იყო სენაკში, ხოლო შემდეგ 1920 წლამდე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც აშკარად ებრძოდა მოსწავლეთა მიმართ განხორციელებულ რუსოფილურ პოლიტიკას, რომელსაც ხშირად სასოწარკვეთილებამდეც მიჰყავდა. ამას გიორგი ზდანოვიჩის სახელზე გაგზავნილი მისივე წერილი ადასტურებს: „თუ გახსოვს, შარშან გთხოვე – ეგებ თქვენს ამხანაგობაში რამე ადგილი გამოჩნდეს და როგორმე ამ სკოლიდან გამათავისუფლე-მეთქი: მაგრამ მაშინ დამარწმუნე, რომ არაფერი ადგილი არ იქნებაო...“

ახლა კიდევ ვიმეორებ ჩემს თხოვნას: ეგებ ამ მოკლე ხანში კიდევ გექნეთ რამე ადგილი და დროებით მაინც შემაფარებინეთ თავი, თუ არა სწორეთ დამაქლექა სკოლის შრომამ და იქაურმა უსიამოვნობამ“ (ქიმ, 6416/1907).

ემიგრანტი ვიკტორ ნოზაძე თავის მოგონებაში წერდა: „ბატონი იოსებისა და სილოვან ხუნდაძის თაოსნობით იმართებოდა ხოლმე წარმოდგენები, – თამაშობდნენ, რასაკვირველია, თვითონ მოწაფეები; რეჟისორებიც მოწაფენი იყვნენ; ქალების როლსაც ისინი ასრულებდნენ; ჩვეულებრივ მე მოკარნახე ვიყავი.“

ბ-ნ იოსები და ბატონი სილოვანი გვავალებდნენ ხოლმე რომელიმე ლიტერატურულ თემაზე მოხსენების წაკითხვას. რამდენი მოხსენება წამიკითხავს! ყოველ მოხსენებას კამათი მოჰყვებოდა ხოლმე და ასე იწრთვნებოდნენ ჩვენი მოწაფეები. ამას გარდა ვაწყობდით ხოლმე ეგრეთ წოდებულ ლიტერატურულ გასამართლებას და ხშირად პროკურორი ვიყავი. ეს „ლიტერატურული გასამართლება“ მაშინ მოდაში იყო“ (ეურნ. „კავკასიონი“, 1967: 205-212).

გიმნაზიაში სწავლის დაწყების პროცესში ასევე იმართებოდა ლიტერატურული დილა, სადაც მოსწავლეები მოხსენებებით გამოდიოდნენ.

მსგავს ლიტერატურულ დილაზე ეპატიყებოდა დასასწრებად სილოვან ხუნდაძე კირილე ლორთქიფანიძეს „უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდეთ 22 ოქტომბერს, კვირას, დილის 12 საათზე, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში, კ-ნ. სოფიო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასულის სახლში, რათა დაესწროთ საიუბილეო ლიტერატურულ დილას, რომელიც იმართება ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთაგან თ. რაფიელ ერისთავის პატივსაცემად“ (ქიმ, 2173/1062).

გიმნაზიის მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოწაფეებს თარგმნის ტექნიკასაც ასწავლიდა: „როდესაც თარგმანი გაშალაშინებული იყო, აძლევდა მას თომა მთავრიშვილის წიგნის მალაზიას დასაბეჭდად; ეს პაწია წიგნაკები მოსწავლეებს ურიგდებოდა; იყიდებოდა კიდევ, და კარგადაც, რადგან იაფი ღირდა. სანამ გიმნაზიას დავასრულებდით, ასეთი მუშაობა გაგრძელდა და მერმეც არ შეწყვეტილა თურმე“ („კავკასიონი“, 1967: 205-212).

ხსენებულ ფაქტზე მიუთითებს სილოვან ხუნდაძის ერთ-ერთი წერილი:

„ბატონო კირილე!

გთხოვთ, დღეს 10 მარტს, საღამოს შვიდ საათზე, იოსებ ოცხელის ბინაზე მობრძანდეთ, საყმაწვილო წიგნების გამოცემის შესახებ მოსალაპარაკებლად“ (ქიმ, 2173/1060).

სილოვან ხუნდაძის მრავალრიცხოვანი ლექსები თუ ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში: „ღროება“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „შრომა“ და სხვ.

ს. ხუნდაძე დამოუკიდებელი აზროვნების გამოსავლენად გიმნაზიის მოწაფეებს ხშირად აძლევდა დასაწერად თავისუფალ თემას: „ქართული თემა იყო მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურა. ბატონი სილოვანი დიდად კეთილი კაცი იყო, მაგრამ აგრეთვე დიდად ფიცხი და სოციალ-დემოკრატების სახელს ვერ გააგონებდი.

ყმაწვილ სოციალ-დემოკრატებს იგი „გველის წიწილებს“ უწოდებდა და ეს ყველამ ვიცოდით, ოღონდ ამას შეუკრაცხოფად არ ვღებულობდით.

იმვითად მინახავს მისი ღიმილი... იმ დღეს გაიღიმა და მიმართა მოწაფეებს:

– თქვენ რომ დიდად მოვაქვს, თავი ნაციონალისტობით!... არაფრად ვარგიხართ... ყველაზე უკეთესად დასწერა ამ „წიწილმა“. აღარ უთქვამს „გველის წიწილი“, მაგრამ ყველა მიხვდა. და მოაშვირა ხელი ჩემზე. ატყდა სიცილი. მე ცოტა არ იყოს გავწითლდი. იქვე იდგა ბატონი იოსები. მანაც გაიცინა და ბრძანა:

– ხუმრობით ამბობს ამას ბატონი სილოვანი! ძალიან მიხარია, რომ სწორეთ სოციალ-დემოკრატმა დასწერა თემა ყველაზე უკეთესად!“ (ეურნ. „კავკასიონი“, 1967: 207).

ცარიზმის რუსულ პოლიტიკას ძვალივით ადგა ყელზე ის ერთადერთი ქართული გიმნაზია, რომელიც ქუთაისში იყო. ისინი ყოველგვარ მიზეზებს იყენებდნენ, რათა როგორმე დაეხურათ ქუთაისის გიმნაზია. თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში ჩაისახა აზრი, რომ ქუთაისის გიმნაზიაში მიმდინარე გამოცდები გამოეყენებინათ იმ „გენიალური გეგმის“ განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავდა გიმნაზიის დახურვას. ამ საქმის განხორციელება ითავა ქართველთა მოძულემ ვინმე კორკინმა.

მან ქუთაისში ჩამოსვლისთანავე მოინახულა თავად-აზნაურთა წინამძღოლი დათა ნიჟარაძე, აუზნა თავისი „კეთილი მისიის“ მიზანი, მთავარი, ცხადია, დაუმალა.

გამოცდების დაწყებამდე გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა მოიწვია გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო და მათ შექმნილი ვითარება გააცნო. საბჭომ

ერთხმად დაადგინა: „კორკინი მოიხსნას საგამოცდო კომისიის შემადგენლობიდან და გამოცდაზე დასწრება აეკრძალოს“. ამ გადაწყვეტილების გაცნობა კორკინისათვის დაევაღათ ახალგაზრდა მასწავლებლებს დიმიტრი უზნაძესა და ალექსანდრე ჯანელიძეს.

მეორე დღეს კორკინი ქუთაისის გიმნაზიაში არ შეუშვეს. კიბეებზე მას შეხვდა იოსებ ოცხელი და ვაი სტუმარს პირდაპირ მიახალა: „Милостливый Государь, я не подам руку. Вы недостойны этого. Ваш приезд имеет дурную цель, хотите нарочно срезать абитуриентов и под этим предлогом прикрыть Грузинскую гимназию“.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან ოცხელისა და ხუნდაძის სამსახურიდან მოხსნის ბრძანება მოვიდა.

თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დათა ნიჟარაძემ თბილისში მეფისნაცვალს თხოვა ოცხელისა და ხუნდაძის აღდგენა. იოსებ ოცხელზე ნებართვა მიიღო, ხოლო სილოვან ხუნდაძეზე კატეგორიული უარი განუცხადეს. საბოლოოდ, დათა ნიჟარაძემ თავისი გაიტანა და ორივე პედაგოგი სექტემბრიდან თავის უფლებაში აღადგინა.

ეს მაგალითი იმისი დასტურია, რომ თავისი სიფიცხითა და პირდაპირობით გამორჩეული სილოვან ხუნდაძე მუდამ თავისი მოწაფეების საიმედო დამცველი იყო, რაც, ბუნებრივია, თავზარს სცემდა იმპერიალისტური პოლიტიკის მესვეურთ.

ამასთან, იგი ყველგან და ყოველთვის ეჭმაგებოდა, მუდამ გვერდით ედგა სწავლა მოწყურებულ ახალგაზრდებს.

„ბატონო კირილე! – წერდა სილოვან ხუნდაძე თავის უახლოეს მეგობარს კ. ლორთქიფანიძეს, – ერთმა ყმაწვილმა მომმართა თხოვნით ვუშუამდგომლო თქვენს წინაშე მასწავლებლის ადგილის შესახებ, რომელიც ძველ სენაკში იხსნება. ამ ადგილის მთხოვნელია ივანე ლუკას ძე ბახტაძე, რომელმაც გორის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა ამ რვა წლის წინათ და მას შემდეგ მასწავლებლობს სხვადასხვა სოფლებში. მე ბეჯითად ვიცი, რომ მშრომელი, ენერგიული ყმაწვილია. გამჭრიახი გონების. და, როგორც ქართველი კაცი კარგი მიმართულების“ (ქიმ. 2173/1063).

ქართულ საზოგადოებაში თავიანთი ღირსებითა და ღირებულებებით გამორჩეული პედაგოგები იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე მუდამ დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ ყველა პატივს სცემდა და ენდობოდა: „ჩემი მდგომარეობის შესახებ შეგიძლიათ შეეკითხოთ ს. ხუნდაძეს ან ი. ოცხელს...“

მალე უნივერსიტეტს დავასრულებ და მერწმუნეთ, ვალს გადავიხდი“, – წერდა მეცენატ გიორგი ზდანოვიჩს პეტერბურგელი სტუდენტი სერგო ყორჟოლიანი (ქიმ. 6416/1779).

პრინციპული, მომთხოვნი, ეროვნული სულით გაქდენილი სილოვან ხუნდაძე ნ შეიღს უზრდიდა სამშობლოს. მრავალი თაობის აღმზრდელსა და წერილი ცოლ-შვილის პატრონზე როგორც საზოგადოება, ასევე ცნობილი მეცენატებიც ზრუნავდნენ, რაც თვალნათლივთაა გამოხატული გიორგი ზდანოვიჩის სახელზე გაგზავნილ სამადლობელ წერილში: „შენი გამოგზავნილი 100 მანეთი მივიღე.“

დიდ მადლობას გწირავ მეგობრული დახმარებისათვის. ეს დახმარება საშუალებას მძღვეს – ერთ თვეს მოვისვენო, სასიამოვნო ჰაერით ვისარგებლო (ბაკურიანში) და შესაძლებელი ჯანმრთელობა შევიძინო, რომელიც ჩემი 6 შვილის აღსაზრდელათ ჯერ კიდევ დიდათ და დიდად საჭიროა“ (ქიმ, 6416/ 1910).

ვიკტორ ნოზაძის მოგონებაში სილოვან ხუნდაძის პიროვნული ხატის შესაქმნელად ერთი ასეთი ეპიზოდის საყურადღებოა: „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წაკეცი ბატონი იოსების სანახავად. იგი დიდათ გახარებული იყო ამ მართლაც დიდი ამბავით...“

იმავე დღეს ბატონ სილოვან ხუნდაძესაც ვესტუმრე. საქმე მქონდა მის ასულ, ჩემ მეგობარ მუჩუტოსთან. კარი ბატონმა სილოვანმა გამიღო და მითხრა: „ხო! ხო! შენ მუჩუტოსთან მოხვედი! დაუძახებ ახლავე. სახლში არის. მოიცადე...“

შემობრუნდა ბატონი სილოვანი და ჩუმად ხომ არ ვიქნებოდი. ვკითხვე:

– როგორ მოგწონთ, ბატონო სილოვან, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება? ხომ მოესწარით თქვენს სანატრელ დღეს?

ბატონმა სილოვანმა აღმაცერად შემომხედა და მკვახედ მიპასუხა:

– დიხაც, რომ დიდად მოხარული ვარ, მაგრამ... შეწყვიტა მან სიტყვა; ალბათ ფიქრობდა: ვთქვა თუ არაო. და მერმე დასძინა:

– მე თქვენი არაფერი მჭერა! სოციალ-დემოკრატები ქართველ ერს ვერ მოუვლიან! მათ არ იციან, რა არის ერი! დალუპავენ ამ დამოუკიდებლობას...“

ამ დროს ოთახში შემოვიდა მისი ასული მუჩუტო და მითხრა:

– აი, მუჩუტო. თვითონ ბატონი სილოვანი ოთახიდან გავიდა. მუჩუტოს ეს მოკლე საუბარი გავაცანი. მან გაიღიმა და მიპასუხა:

– მამა ძალიან გახარებულია. მაგრამ მაინც დიდი პესიმისტია. ხომ, იცი სოციალ-დემოკრატების მას არაფერი სჭერა! ვერ მოუვლიან ქვეყანასო, მათ არა აქვთ ეროვნული შეგნებაო“ (ეურნ. „კავკასიონი“, 1967: 205-212).

ამ ვრცელი ამონარიდიდან აშკარად ჩანს სილოვან ხუნდაძის დიდი პოლიტიკური აღლო და უნარი. მისი პროგნოზი მართლაც გამართლდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მისი ოკუპაციის შემდეგ სილოვან ხუნდაძეს დიდხანს არ უცოცხლია. იგი 1928 წელს გარდაიცვალა.

სწორედ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის დამსახურებაა ის, რომ ვიკტორ ნოზაძეს აქ სწავლის დროს ჩამოუყალიბდა ეროვნული სული, ქართული ზნე-ჩვეულებების პატივისცემა, აზროვნების განსაკუთრებული წესი. ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი სიყვარული.

ასე რომ, ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის ყოფილმა მოსწავლემ ვიკტორ ნოზაძემ ემიგრაციის ნარეკლიან გზაზე თითქმის ორმოცი წელი გულით ატარა სათაყვანებელი მასწავლებლის ხატება და იგი საბოლოოდ იოსებ ოცხელზე დაწერილ მოგონებაში ააქვდა, სადაც მოყვანილი შტრიხებით უკვდავყო ერის ერთ-ერთი ბურჯთაგანი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის პორტრეტი.

გამოყენებული წყაროები

ჟურნ. „კავკასიონი“, 1967 - მოგონება, ჟურნალი „კავკასიონი“; XII, პარიზი, 1967.

ქიმ - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მასალები: 6416/1907; 2173/1060, 1062, 1063; 6416/1779; 1910.

MARIAM MARJANISHVILI

SILOVAN KHUNDADZE –EMIGRANT’S MEMORIES

Viktor Nozadze, the eminent Rustvelologist, political activist, writer and publicist, the editor and publisher of a number of journals and magazines, left a very interesting memory of the principal of Kutaisi Gymnasium, Ioseb Otskheli.

The author wrote down this recollection after 40 years in emigration and published it in Paris in the XII issue of the journal “Kavkasioni”. Along with the principal, he also recalls his favourite teacher Silovan Khundadze: “I remember very well when one day Mr. Silovan Khundadze, the famous teacher and writer, the inspector of the gymnasium called me and introduced me to a young man: ‘this young man is an Armenian from Erevan. He passed all his subjects, the only exam he failed is Georgian and we accepted him under one condition. You must teach him the Georgian language and I hope he will prepare for the Georgian language and literature in the future.’ I gladly agreed and at the end of that year, this young man successfully passed his Georgian exam”.

Viktor Nozadze portrays Silovan Khundadze as a strict, fair and dedicated teacher who was always distinguished by his directness. Silovan was a very kind man, but at the same time he was quick-tempered and did not believe in Social-Democrats. He called young social-democrats “Snakes” and we all knew it though we never took it as an insult.

Viktor Nozadze was grateful to Silovan Khundadze, the teacher of the Georgian Language and Literature because during his years at the gymnasium he encouraged national spirit, moral, particular way of thinking, and love of literature and art.